

საქართველო

ეროვნული
ნიშნით

საერთოული გაზეთი პარასკევი 18 აპრილი 2008 №087 (3311)

ფასი 50 თეთრი



ზესტაფონს ბაზა და სტადიონი ქმნება! ვისაც არ სჯარა, ჰკითხოს პრაზიდიენტს

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც სულ უბრალო საკითხის მოგვარებასაც ხშირად პრეზიდენტის ჩარევა სჭირდება ხოლმე. კლუბისთვის სტადიონისა და ბაზასთან დაკავშირებულ პრობლემებზე დახმარება ფეხბურთისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ის საკითხი, ვფიქრობთ, არ არის, მაინცდამაინც პრეზიდენტის ღონეზე რომ უნდა წყდებოდეს.

გეცოდინებათ, „ზესტაფონი“ რა ხანია, ამოდ ითხოვს, ქალაქის სტადიონის მისთვის გადაცემას და მიწას ბაზის ასაშენებლად.

პოდა, ყველაფერი იქითკენ მიდის, საქმეს თავი მოებმება: ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე რამდენიმე დღის წინ მიხეილ სააკაშვილის ვერტმფრენი დაჯდა და იქიდან გადმოსულმა პრეზიდენტმა მოედნის საფარი რომ შეაქო და ტრიბუნები დაიწუნა, „ზესტაფონის“ შესვეურებსაც მასთან საკუთარ პრობლემებზე სიტყვის ჩამოგდების საშუალება მიეცათ.

მიხეილ სააკაშვილის პასუხი კი სწორედ ისეთი იყო, „ზესტაფონსაც“ და მთლიანად ქართულ ფეხბურთსაც რომ წაადგება.

საქართველოსთვის დრო მწვრთნელია

ის, ვინც ჩამოვა, ლუბლიანაში ცხოვრობს?



პადრი-პატილაძის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გუშინ სლოვენიაში შეხვდა ეროვნული გუნდის მწვრთნელობის კანდიდატ ბრანკო ივანკოვიჩს, იქამდე ვალენსიაში ესტუმრა შოთა არველაძეს, ჩავა კვიპროსზე თემურ ქეცბაიასთან და მოლაპარაკებას გამართავს კიდეც რამდენიმე მწვრთნელთან, რომელთა ვინაობასაც ჯენტლმენური შეთანხმების გამო არ ასახელებს. ამასობაში კი საბოლოოდ გამოირიცხა ლუის ვან გაალის და ლოთარ მათეუსის ვარიანტები. ბრანკო ივანკოვიჩმა კი პასუხისთვის დრო ითხოვა...



თადარიგი დასაჭერია. თან რუმორი თადარიგი უმთა არველაძის მებობრების გუნდი



გადაწყვეტილია!

რონალდ და ფრანკ დე ბურები, ბრანკო ივანკოვიჩი, ტიჯანი ბაბანგიდა, ედგარ დავილსი, პატრიკ კლუივერტი, როი მაკაი, აარონ ვინტერი, დანი ბლინდი, რიხარდ ვიჩე, ბარი ოზდამი, არტურ ნუმანი, ბარი ფერგიუსონი, მორის როსი. მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

ველით პასუხს

ლუიშ ფიგუსგან, პაოლო მალდინისგან, ანდრეი შევჩენკოსგან, ანდრეი ვორონიჩისგან, კლაუდიო კანიჯასგან, იარი ლიტმანენისგან.

ბოლო ხანსი ვიბ ჯორჯიასთვის დინამო ეცდება, ინტერბა მოკლას



ფოტო ილია ბერიძისგან



მიხეილ სააკაშვილი: ჩათვალეთ, რომ ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია!



ზესტაფონი სტადიონის და ბაზის მუშაობას იწყებს

— ბატონი მიხეილ ვერტმერენით ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე დაფრინდა, იგი ჩვენს ქალაქში სამუშაო ვიზიტით იყო ჩვენ გვინდოდა, „ზესტაფონის“ მაისურა გვეჩუქებინა და აქედან წასვლის წინ ეს მოვახერხეთ კიდევ.

— როგორც შევითქვით, ქვეყნის პრეზიდენტს სტადიონის ბაზაში განსაკუთრებით მოსწონებია და ეს არც დაუმალავს...

— ძალიან შეგვიქო მინდორი, თუმცა ტრიბუნები არ მოეწონა და იკითხა, ამას როდის გააკეთებთო. მე ვუპასუხე, რომ ეს სტადიონი კლუბის საკუთრება არ არის და თუ მუნიციპალიტეტი გადმოგვცემს, ერთ წელიწადში თანამედროვე სტადიონს ავაშენებთ. ასევე ვუთხარი ბაზის თაობაზეც, რომ ვაპირებთ მილანელოს დონის ბაზის აშენებას და აქაც იგივე პრობლემა გვაქვს მიწასთან დაკავშირებით.

— და რა გითხრათ პრეზიდენტმა?

— ჩათვალეთ, ეს პრობლემა მოგვარებულიაო.

— ესე იგი, მალე „ზესტაფონს“ კოზტა ბაზა და სტადიონი ექნება?

— როგორც კი ყველა ფორმალური მხარე მოგვარდება, მეორე დღესვე დაიწყება მშენებლობა.

ნუბრი ლოლაკი

საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის რომ უამრავი რამეა გასაკეთებელი, საკამათო არ არის. ჩვენს ქვეყანაში თითოეულ დასათვლელ სტადიონზე, სადაც ნორმალური მინდორია, კლუბების უმრავლესობას არ გააჩნიათ ბაზა... „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკია მზად არის, ზესტაფონში სოლიდური ბაზა ააშენოს, ადგილიც შერჩეული აქვს, თუმცა ამ მინის შესყიდვა რატომღაც ვერ ხერხდება... არც ცენტრალური სტადიონი ეკუთვნის კლუბს, თუმცა კოკიამ თურქეთიდან მაღალი ხარისხის ბაზაში ჩამოიტანა და ამჟამად საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო საფარი სწორედ ზესტაფონშია. ეს შესავალი იმად დაგვჭირდა, რომ რამდენიმე დღის წინ ზესტაფონს ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სტუმრობდა და, როგორც შევითქვით, იქაურებს დახმარებას დაჰპირებია.

გუშინ „ზესტაფონის“ გენერალურ დირექტორ ლავით აბაშიძეს შევეხმიანეთ და ამ ამბავზე ვკითხეთ...

პაპიაშვილი

პარსკვლავთმცოდნეობის უმთავრესი

„ძალიან მინდა, სტადიონი გაიხსნოს და ხალხმა ნახოს, როგორია ფეხბურთელის გაცელება. 3 ივნისს „ეროვნული“ მინდორი ვარსკვლავებით იქნება გადაჭვდილი და მინდა, რომ მათ საქართველო ლამაზად დაამახსოვრდეთ“ — გვითხრა შოთა არველაძემ, რომელსაც გუშინ ვალენსიაში დაუკავშირდით და ისე როგორ იქნებოდა, საინტერესო ამბები არ გავგვიგო...

მამ ასე: შოთა არველაძემ თავისი ფეხბურთიდან გაცელების მატჩისთვის საქართველოს ნაკრების და უცხოელი მეგობრების გუნდის სრული სია შეადგინა.

უკვე ვწერდით, საქართველოს ნაკრები შერეული შემადგენლობით იქნება, ანუ მოქმედი ფეხბურთელებიც და ვეტერანებიც: რეზო და არჩილ არველაძეები, გოჩა ჯამარაული, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, მურთაზ შელია...

რაც შეეხება შოთას უცხოელი მეგობრების ნაკრებს...

„რონალდ და ფრანკ დე ბურები, ბრაიან ლაუდრუპი, ტიჯანი ბაბანგიდა, ედგარ დავიდასი, პატრიკ კლუივერტი, როი მაკაი, აარონ ვინტერი, დანი ბლინდი, რიხარდ ვიჩეკი, ბარი ოპდამი, არტურ ნუმანი, ბარი ფერგიუსონი, მორის როსი და მწვრთნელები, ლუის ვან გაალი,

შენოლ გიუნეში, მორტენ ოლსენი, მიქაელ ლაუდრუპი. ამათგან თანხმობა უკვე მივიღე და გადაწყვეტილია, რომ უცხოელი მეგობრების ნაკრების მწვრთნელი ვან გაალი იქნება. პასუხს ველოდები ლუიშ ფიგუესანს, პაოლო მალდინისგან, ანდრეი შევჩენკოსგან, ანდრეი ვორონინისგან, კლაუდიო კანიჯასგან და იარი ლიტმანენისგან. მართალია, თამაში იდეალურ დროსაა, სეზონი დამთავრებული იქნება, მაგრამ ზოგს პრობლემები შეიძლება შეექმნას ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მაგალითად, რონალდ ვატიერუსმა და კრისტიან ნერლინგერმა თანხმობა მომცეს, მაგრამ პირველს ტრავმა გაურთულდა, მეორე კი ზუსტად ივნისის დასაწყისში

ში სამწვრთნელ ლიცენზიას იღებს და გამოცდა აქვს. შევჩენკომ და ვორონინმა 1 ივნისს უკრაინა — შვედეთის ამხანაგურში უნდა ითამაშონ და ენახონ, იმედია, მოასწრებენ აქ ჩამოსვლას. რაც უნდა იყოს, მათ, რომელთა პასუხსაც ველოდები, დარწმუნებული ვარ, ორისამი კაცი თუ დააკლდება“ — გვითხრა ტყუპისცალმა.

მოკლედ, 3 ივნისს მუშტაიდში და იქვე მახლობლად ადგილებში, ალბათ, სიცარიელე იქნება — რა დროს ესენია, როცა ასიოდ მეტრში ცნობილი ქართველი ფეხბურთელები და უცხოელი ვარსკვლავები ბურთს ამბლერებენ.

შოთას ეროვნული ნაკრების ჯერაც იდეაში მყოფ თაკაცზეც ვე-

საუბრეთ. გეცოდინებათ, ორიოდ დღის წინ მასთან სტუმრად სფუის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გახლდათ და...

„საინტერესო საუბარი გვექონდა მე და ახალკაცს. რაღაც წინააღმდეგობებიც იყო აზრებში, მაგრამ უმეტეს საკითხებში შეეთანხმდით. კანდიდატ მწვრთნელებზე პირადად მე ვერაფერს გეტყვით, ეს ფედერაციის ხელმძღვანელთა გადასაწყვეტია. როცა დრო მოითხოვს, ისინი დაასახელებენ გვარებს“.

ერთიც, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, შესაძლოა, „ლევიანტეს“ ფეხბურთელები პრიმერადივიზიონში „უელვასთან“ საკვირაო მატჩში მინდორზე არ გავიდნენო. ჯერ ჩავარდნილ ქვეყნებში როგორი აჟიოტაჟი ექნებოდა ამ ამბავს და ახლა ესპანეთში...

„მართალია, ასეა საქმე კლუბში. ფინანსური მდგომარეობა რთულადაა და ფეხბურთელები პროტესტს აცხადებენ. ენახოთ, დღეს-ხვალ გადაწყდება ეს ამბავი. იმედია, დადებითად“ — გვითხრა შოთამ, ვისაც დარჩენილ ექვს ტურში თუნდაც ერთი გოლის გატანა სწყურია...

აბა, მეტის საშუალება მუხლმა არ მისცა და ამიტომაც ემშვიდობება საყვარელ საქმეს...



ილია ნანობაშვილი

ინგლისი
პრემიერლიგა. XXXV ტური
ვერტონი 0:1 ჩელსი
კოვბენენსლიგა
გალაფაული მატჩები
დროილსდანი 1:1 უაზფლიტი
რამფიანი 2:1 ტორკი
გერმანია
II ბუნდესლიგა. XXIX ტური
მიუნხენი 2:1 ვიჰენი
უკრაინა
ალსვენსკა. V ტური
პაბარკი 2:1 ჰელსინგფორგი
ლიუნგსილი 1:0 ელფსბორგი
სუნდსვალი 0:2 კალმარი
ბაის 0:0 ბიოტაბორგი
სუპერლიგა. II ტური
ბროგოპოპარა 2:3 ლანსარონა
სუპერლიგა. XXXI ტური
ბარაუ 2:2 ძაბაძინი
ციურიხი 1:2 იანა ბოისი
ჩელენჯლიგა. XXIX ტური
ბაილენცონა 4:4 ვოლფენი
შაფჰაუზენი 2:0 დელემონი
ვილი 5:2 ლუბანო
დანია
თანის ნახევარფინალური
საბასუსო მატჩი
ბილტილანდი 0:2 ბრონდოუ (0:3)
აშენაგური მატჩი
ბიშისია 1:0 ჩინეთი



დინამოსთვის ფინალი ვიზ ჯორჯიასთვის სარემპიონო შანსია

საქართველოს ჩემპიონატი რამდენიმე გოლის სიღია

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 21-ე ტურმა ცხრილის ზედა ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა — „ვიტ ჯორჯია“ გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგა ცხრილის „სპარტაკთან“ და „დინამოს“ უკვე ოთხი ქულით ჩამორჩება, თუმცა 22-ე ტურში ლიდერს მცხეთაში მასპინძლობს და შანსი აქვს, ეს ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანოს.

„ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ ტურის მთავარი მატჩი რომ არის, თქმად უნდა. ამ შეხვედრაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული — მოგების შემთხვევაში „დინამო“ პრაქტიკულად ჩემპიონია და მისი გადასწრება თეორიული გამოთვლებითა თუ შედეგებით კონკურენტებს. ფრის შემთხვევაში კი „დინამოს“ დარჩენილ ტურებში ქულების დაკარგვის უფლება მხოლოდ ზესტაფონში ექნება, ამიტომ დინამოელთათვის მცხეთური ფრეც ძალიან კარგი ვარიანტი იქნება. წაგების შემთხვევაში კი გაჩემპიონების შანსი ერთბაშად სამ გუნდს დარჩება და ბოლო ტურებს ძალიან დიდი დაძაბულობა და ინტრიგა შეემატება.

შეძლებს კი „ვიტ ჯორჯია“ ლიდერის დამარცხებას?

ამის შანსი ვიტელებს, ცხადია, აქვთ. იმ ორი წაგებიდან, რომელიც „დინამოს“ გრაფაშია, ერთი სწორედ ვეტერინარების ანგარიშზეა, თანაც სტუმრად.

ახლა „ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლის უპირატესობაც აქვს, მცხეთაში თამაში კი ყველა გუნდს უჭირს.

ერთიც: საინტერესოა, რომ „დინამოს“ გასულით შეხვედრებში ჯერ ქულაც არ დაუკარგავს.

მართლაც გაურკვეველ მდგომარეობაშია „ზესტაფონი“ — მცხეთაში „დინამოს“ უგულშემატკივროს თუ „ვიტ ჯორჯიას“, ძალიან ძნელი გადასაწყვეტია.

მასპინძლების მოგების შემთხვევაში, შესაძლოა, ისე მოხდეს, იმერლებს ჩემპიონობა კი არა, მეორე ადგილი და უფასო თასის საგზური სანატრელი გაუხდეთ, „დინამოს“ გამარჯვების შემთხვევაში კი ხვალე შეუძლია მეორე ადგილზე გადაინაცვლოს, რადგან შინ აუტსაიდერ თბილისის „მერანს“ მიიღებს და წესით, მოგება არ უნდა გაუჭირდეს. ისიცაა, რომ თავის მხრივ, ზესტაფონის სტუმართათვის ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს და ბრძოლასაც აპირებენ — მათთვის ფრე დიდი მიღწევა იქნება.

კიდევ ერთი აუტსაიდერი ცხინვალის „სპარტაკი“ ახალციხეს ესტუმრება და ძვირფასი ქულების მოპოვებას იქ შეეცდება. შეეცდება იმიტომ, რომ „მესხეთს“ „მშვიდად“ ყოფნა არ სურს და იმის მიუხედავად, რომ ყველა ის მიზანი შეასრულა, რაც დებიუტანტისგან მოითხოვეს, საბედნიეროდ, მიღწეულზე არ ჩერდება — ეს კი „სპარტაკის“ წისქვილზე წყალს ნამდვილად არ ასხამს.

დღესვე „დილა“ გორში უმასპინძლებს ბოლნისის „სიონს“.

ქართლებების ბოლო ხავსი ქვემო ქართლია და მასაც თუ ვერ მოუგებს, მერე მშვიდობით, უმაღლესი თუმცა არ იფიქროთ „სიონ-

ის“ ძლევით „დილას“ საზეიმოდ ჰქონდეს საქმე — გორელებმა დარჩენილი თამაშებიც უნდა მოიგონ, რაც უფრო გასაკვირზე გასაკვირი იქნება.

ქართული ფეხბურთის ერთადერთი ზღვისპირელი უმაღლესლიგელი ზვალ თბილისის ეწვევა და ქულების წაღებას გლდანთან შეეცდება. რამდენად მოახერხებენ ბათუმელები „ამერის“ დამარცხებას, ეს მათ მარიფათზეა დამოკიდებული. „ამერს“ კი ისედაც რთული კალენდარი აქვს და ბათუმელებთან ქულების დაკარგვამ, შესაძლოა, ცხრილშიც ჩამოაქვეითოს.

„ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ შემდეგ ყველაზე კარგი სანახაობა ვაკეში უნდა შედგეს „ლოკომოტივი“ — „ბორჯომს“ მასპინძლობს.

ამ სანახაობას ლევან ციციტიშვილი, ვიტალი დარასელია და რატი ალექსიძე წარმოგვიდგენენ.

ბორჯომელებს ბლომად ფეხბურთელები აკლიათ ტრავმების გამო და ზემონახსენებ სამეულს მათთან თავისი კლასის დასამტკიცებლად უფრო იოლი გზა ელის. თუმცა თანაგუნდელებიც თუ არ მიეხმარნენ, კერკეტ „ბორჯომს“ იქითაც შეუძლია მათი დასჯა.

ტურის ყველაზე უმოტივაციო თამაში კი ზუგდიდშია — „მგლები“ და რუსთავის „ოლიმპი“ ნამდვილად არ დაგლეჯენ ერთმანეთს, თუმცა მასპინძლები შინაური კედლების უპირატესობით ისარგებლებენ და ეგებ სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით დაწინაურებაც შეძლონ.

მიხეილ შორჭოლიანი

გორი. 18 აპრილი. 16 საათი. თ. ბურჯანაძე

დილა — სიონი

მსაჯეები: მ. ურუშაძე, ა. კოკია, ი. უკლება, ა. კრიჭავიძე

ახალციხე. 18 აპრილი. 16 საათი. მ. იბძი

მესხეთი — სპარტაკი

მსაჯეები: დ. ხარიტონაშვილი, დ. კურტანიძე, ზ. ბერულავა, ი. ურუშაძე

მცხეთა. 18 აპრილი. 16 საათი. ბრმაზი

ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯეები: ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე, ა. ნონიკაშვილი

ზესტაფონი. 18 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — მერანი

მსაჯეები: ო. ხეცაძე, შ. ქუხილაძე, ზ. ერქვანია, პ. დოგრაშვილი

თბილისი. 19 აპრილი. 16 საათი. აშერი

აშერი — ბათუმი

მსაჯეები: გ. კვიციანიშვილი, კ. გაბრიძე, ი. მაჩიტაძე, ვ. ელისაბედაშვილი

თბილისი. 19 აპრილი. 16 საათი. მ. მისხი

ლოკომოტივი — ბორჯომი

მსაჯეები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ს. სპიციანი, ლ. ფანიაშვილი

ზუგდიდი. 19 აპრილი. 16 საათი. მ. თუთუბარიძე

მგლები — ოლიმპი

მსაჯეები: გ. დოგრაშვილი, კ. ბერაძე, ი. კაკაბაძე, ჯ. ბუიშვილი

დისკვალიფიცირებული:

„სიონი“:	გიორგი კვიციანიშვილი;	დინამო	21 19 0 2 53:12 57
„დილა“:	ალბერტ საყვარელიძე, ლაშა რეხვიაშვილი, ნოდარ ნოზაძე, დავით ჩერქეზიშვილი, გიორგი აბრამიშვილი;	ვიტ ჯორჯია	21 17 2 2 40:10 53
„ოლიმპი“:	გიორგი კახელიშვილი;	ზესტაფონი	21 16 3 2 45:11 51
„მერანი“:	ლაშა ჯანგიძე;	ამერი	21 12 2 7 37:23 38
„მესხეთი“:	დემეტრი ლეკიშვილი;	ოლიმპი	21 11 4 6 19:15 37
„მგლები“:	გიგა ჟვანია;	მესხეთი	21 9 4 8 23:23 31
„დინამო“:	მიხეილ ზუციშვილი;	ბორჯომი	21 8 4 9 25:26 28
„ბორჯომი“:	ვალერი ბოლქვაძე; გიორგი სუხიაშვილი (მწვრთნელი).	მგლები	21 8 3 10 21:22 27
		სიონი	21 6 5 10 22:30 23
		ლოკომოტივი	21 4 5 12 14:26 17
		სპარტაკი	21 4 5 12 8:23 17
		მერანი	21 5 1 15 11:39 16
		ბათუმი	21 4 3 14 12:37 15
		დილა	21 1 5 15 8:43 8



ფინალის ტოლფასი მატჩი: „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“

ფედერაციის დრო მწვრთნელია

ბრანკო ივანკოვიჩი ნოდარ ახალკაცს: ვიწიქრებ



ბრანკო ივანკოვიჩი



ბრანკო ივანკოვიჩი

მათეუსი გამორიცხა, არველაძე, ქაცბაია და ფრანგები სიაში არიან

რამდენიმე დღეა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ევროპაშია, გუშინ ვალენსიაში გახლდათ შოთა არველაძესთან, გუშინ კი როდესაც დაუკავშირდით, გვითხრა ლუბლიანაში ვარო... გეცოდინებათ, ახალკაცის ევროვიზიტის მთავარი დატვირთვა ეროვნული ნაკრებისთვის მწვრთნელის მოძიებაა და ამ მხრივ უკვე არის სიახლეები — ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელი ლუბლიანაში ხორვატ სპეციალისტ ბრანკო ივანკოვიჩს შეხვდა... „ვიცი, რომ რთულია, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, მაისის ბოლომდე, ანუ ესტონეთთან და პორტუგალიასთან ამხანაგურ მატჩებამდე ნაკრებს მწვრთნელი ჰყავდეს. სამწუხაროდ, ორი სპეციალისტის გვარი ჩვენი სიიდან ამოიშალა — ლოთარ მათეუსის ისრაელის კლუბში ნასვლა გადანყვეტილია, ლუის ვან გაალმა კი „ალკმართან“ კონტრაქტი გააგრძელა. არადა, ორივე მათგანთან წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა შეხვედრის თაობაზე“ — გვითხრა ახალკაცმა.

— შოთა არველაძესთან შეხვედრით დავიწყეთ. რაზე ისაუბრეთ? — როგორც იცით, 3 ივნისს შოთას გაცილების მატჩი გაიმართება თბილისში და ორგანიზაციული საკითხები დასახვეწია. იმხელა აჟიოტაჟი იქნება, როგორც საქართველო — იტალიის და საქართველო — საფრანგეთის მატჩებზე იყო. ბევრი გულშემატკივარი მოვა სტადიონზე, თბილისის მერიაშიც დაიწყება ამ მიმართულებით მუშაობა, ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა იყოს ორგანიზებული. მოკლედ, ორგანიზაციის თვალსაზრისით, მაღალი რისკის თამაშია... — ახლა არ დავკონკრეტდები, მაგრამ ფედერაცია აქტიურად მუშაობს შოთას სანაკრებო საქმიანობაში ჩასართავად. ის აქამდე უდიდეს როლს ასრულებდა ნაკრებში როგორც ფეხბურთელი, ახლა კი სხვა ამპლუაშიც იგივე სარგებელი უნდა მოგვიტანოს... — მწვრთნელის საკითხზე ვიტყვი, რომ ყველა ის სპეციალისტი, რომელთა ჩამოყვანაც გვსურს და რომელთა გვარები პრესაში გაჟღერდა, მხოლოდ ჩვენ არ გვანტერესებს. ბევრ კლუბს თუ ნაკრებს ჩვენზე ადრე აქვს ამ მწვრთნელთან მოლაპარაკებები დაწყებული. მაგალითად, „ჰამბურგმა“ რამდენიმე თვის წინ იცოდა, რომ მათი თავკაცი ჰუბს სტევენსი ზაფხულში გუნდს ტოვებს... ეს პრობლემას გვიქმნის, სხვები ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაში არიან, დროში გვიგებენ. თუმცა ჩვენი მიზანია, მაისის მატჩებამდე მწვრთნელი დანიშნული გვყავდეს. — ბრანკო ივანკოვიჩთან საინტერესო საუბარი გექნებოდათ... — ყველამ იცის, რა დონის სპეციალისტიცაა, მისი სახელი „ჰამბურგთან“ და „შალკესთან“ მიმარ-

თებაში გაისმა, ნაკრების ვარიანტებიც აქვს... ივანკოვიჩის მხრიდან დაინტერესება რომ არ ყოფილიყო, შეხვედრაზეც უარს გვეტყოდა. თუმცა ვერ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯია გადადგმული... — ივანკოვიჩმა დრო ითხოვა მოსაფიქრებლად? — დიახ. ამ დღეებში მასთან კავშირი გვექნება. საქმე ისაა, რომ თავიდან გვითხრა, ეს ერთი კვირა ძალიან დაკავებული ვიქნები. საინტერესო, დადებითი პიროვნებაა, სიმპათიურად განწყობი მის მიმართ. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს ნაკრებისთვის მისადები მწვრთნელია. — ივანკოვიჩის გარდა სხვა მწვრთნელებს არ შეხვედრიხართ? — გვექნა გარკვეული კავშირები, თუმცა ვენტლმენური შეთანხმება გვაქვს, რომ გვარებს არ დავასახელებთ. გეცოდინებათ, ფრანგ მწვრთნელებზეცაა საუბარი. პრობლემა დროა — ზოგი მწვრთნელი სეზონის დასასრულს ელის, ზოგიც ევროპის ჩემპიონატს, რომელ სპეციალისტს სად შეერყევა სკამი... — აუცილებლად ნაკრებში უნდა ჰქონდეს ნამუშევარი — ასეთი კრიტერიუმი თუ გაქვთ მწვრთნელის შერჩევას? — მოდით, ასე ვთქვათ: სასურველია, რომ ჰქონდეს. ეს მუშაობას გაუადვილებს მწვრთნელს. დანარჩენი კრიტერიუმები კი — აუცილებლად პროფესიონალი, საქმიანი, ენერგიული, პირველივე დღიდან თანმიმდევრული პოლიტიკის გამტარებელი ნაკრებში... გარდა ამისა, რაც ადრე ვთქვი, წელიწადის მინიმუმ ნახევარი საქართველოში უნდა გაატაროს... — ფრანგი მწვრთნელები ასხენით და, ვინ გურულმაც გვითხრა, რამდენიმე ცნობილ მწვრთნელთან

შემიძლია დაკონტაქტება, მათი აზრის გაგება. ითქვა რეინალდ დენიოზე, ჟაკ სანტინიზე, ბრუნო მეციუზე... — ვერ ვერ დავკონკრეტდები გვარებზე, მაგრამ გურულმა მოგეაწოდა სია და ამ მწვრთნელებთან კავშირი გვექნება. — თემურ ქეცბაიასთანაც უნდა გესაუბრა. კვიპროსზე ჩასვლა ვერ მოახერხეთ? — ფიზიკურად ვერ მოვახერხებ, თუმცა აუცილებლად ჩავალ. ვისარგებლებ შემთხვევით და, ვულოცავ თემურს კვიპროსის ჩემპიონობას. არ ვიცი, რა ფორმით, მაგრამ ჩვენ მოწადინებულნი ვართ და იმედია, შევასრულებთ კიდევ, რომ ქეცბაია ნაკრების მუშაობაში ჩაერთოს. ყველასთვის დასაფასებელი პროფესიონალია, კარგი პიროვნება და საქმის მცოდნე. — ქეცბაიას მთავარ მწვრთნელად დანიშნვა გამოიცხვია? — მასთან ყველაფერზე მექნება საუბარი, თუმცა, მოდით, გავითვალისწინოთ, „ანორთოსისი“ მისი შექმნილი გუნდია, შეილივით ჰყავს მოვლილი, სულსა და გულს დებს კლუბში... „ანორთოსისის“ ზაფხულში ჩემპიონთა ლიგა ელის და ადვილია უცებ მიტოვება?! თუმცა ვიმეორებ, მასთან აუცილებლად მექნება ნაკრებში ყველა მიმართულებით მუშაობაზე საუბარი. — მალე თბილისში მოვიწვევთ ჩამოსვლა და ევროპაში მალევე გაბრუნდებით? — ზუსტად ერთ კვირაში უფაში იმ კომიტეტის სხდომაა, რომლის თანათავმჯდომარე მე ვარ. მაგ დროს ან, შესაძლოა, ცოტა გვიან, ნაკრების კანდიდატების სია ცნობილი გახდება.

ილია ნანობაძე

საქართველო ჩემპიონატი
მეორე ლიგა

ალმონაველი
ზონა

მე-20 ტური

სამგორი 2:4 სიონი 2
გარეჯი 4:1 დურუჯი
ოლივი 3 1:0 სამგორი
პირატი 0:1 ძიზიძი
ალაზანი 5:1 მასუდი
ალბათი 2:0 კახათი 2
ბასტიონი 2:5 ზომიხი

ქიზიყი	20	16	2	2	69:17	50
ზოოვეტი	20	14	2	4	48:16	44
ალგეთი	19	13	5	1	41:14	44
პერეთი	20	12	4	4	43:15	40
სიონი 2	19	12	3	4	47:19	39
გარეჯი	19	7	6	6	33:21	27
სამგორი	19	7	4	8	35:28	25
დურუჯი	20	8	0	12	31:44	24
ალაზანი	19	7	3	9	28:30	24
ოლივი 3	21	6	4	11	34:48	22
კახეთი 2	20	3	5	12	23:43	14
მასუდი	19	2	1	16	18:73	7
ბასტიონი	19	0	1	18	11:93	1

ცენტრალური
ზონა

მე-20 ტური

სპარტაკი 2 4:1 სპარტაკი
ამერი 3 5:1 აფხური
ზორჯომი 2 4:0 მირანი 2
გაგრა 2 2:1 ლოკომოტივი 2
დუშეთი 5:1 ლიხვი
ნორჩი დინამო 0:0 ორბელი

ნორჩი დინამო	19	16	2	1	55:12	50
ორბელი	19	15	2	2	44:12	47
სპარტაკი 2 (ტ)	20	14	2	4	47:22	44
ამერი 3	19	10	6	3	35:11	36
ლოკომოტივი 2	20	8	4	8	31:30	28
35-ე სკოლა	19	8	2	9	42:39	26
სპარტაკი (თბ)	19	7	3	9	25:27	24
ბორჯომი 2	18	7	3	8	27:31	24
გაგრა 2	19	6	4	9	24:28	22
დუშეთი	19	4	5	10	23:41	17
მერანი 2	19	4	4	11	21:46	16
ლიხვი	20	3	1	16	18:64	10
აწყური	18	3	0	15	19:48	9

დასავლეთი
ზონა

მე-19 ტური

მერცხალი 3:2 მალაროელი 2
გაგრა 3 1:1 იზირია XXI
გური 2:0 ბათუმი 2
მირანი 2 (მ) 1:1 ტორპედო 2
სძური 0:2 მარგვეთი
ბაია 2:1 იმერეთი

ბაია	16	12	3	1	36:14	39
გური	17	11	5	1	31:12	38
მერანი 2 (მ)	17	9	4	4	33:21	31
მარგვეთი	19	8	4	7	36:32	28
სჭური	19	7	3	9	26:24	24
გაგრა 3	17	6	4	7	24:24	22
იზირია XXI	16	6	4	6	17:21	22
მალაროელი 2	17	6	3	8	20:27	21
იმერეთი	17	4	4	9	18:24	16
ბათუმი 2	17	5	1	11	18:37	16
მერცხალი	17	3	6	8	14:24	15
ტორპედო 2	17	2	7	8	11:24	13

„მილანის“ ავსტრალიელმა მე-



მილანური ამბები

„სამწუხაროდ, წინა ტურში „იუვენტუსთან“ სამი გოლი გავუშვით და ისეთი მატჩი წავაგეთ, რომელშიც სულ მცირე ქულას ვიმსახურებდით. ამან ცუდ გუნებაზე დაგვაყენა, მაგრამ რას იზამ, ეს ფეხბურთია და წინ უნდა იყურო. ახლა „რეჯინასთან“ მატჩისთვის ვემზადებით. ეს სეზონი არცთუ წარმატებული გამოვივიდა, მაგრამ მაქსიმალურად კარგად უნდა ჩავამთავროთ. მეოთხე ადგილთან 4 ქულა გვაშორებს, მაგრამ ხუთ ტურში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს“ — განაცხადა 35 წლის კალაჩმა.

ვებული მაქვს. მსურს, „მილანთან“ ერთად სკუდეტოც მეორედ მოვიგო. დღევანდელი „როსონერი“ საქმე დამთავრებული ხომ არ არის და შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები საჭირო? ვერ დაგეთანხმებით, ამ გუნდს ბევრი აქვს გაკეთებული და კიდევ ბევრი შეუძლია. „იუვენტუსთანაც“ კარგად ვითამაშეთ, უბრალოდ, არ გავვიმართლა. ჩემი ამჟამინდელი სათამაშო ფორმით კმაყოფილი ვარ. ნაკრებზე რა ვითხრათ, რობერტო ღონაღონიმ კარგად იცის, რა შემიძლია და როგორი დამოკიდებულება მაქვს „სკუადრა ახურასადმი“. ასე რომ, თუ საჭირო ვიქნები, მზად ვარ. რაც შეეხება რონალდინიოს შესაძლო ტრანსფერს, იგი ნამდ-

ვილი ჩემპიონია და გაგვიხარდება თუ შემოგვიერთდება“ — თქვა 34 წლის სუპერპიზომ.

აქვე კიდევ ერთი მილანური ამბავი ვასწავლით. ბოლო დროს ლაპარაკობენ, სეზონის ბოლოს ცუდ ფორმაში მყოფი ჯერნარო გატუზო გუნდიდან გაუშვანო. ახლა კი ახალი ცნობები გავრცელდა, „რინოტი“ მადრიდის „რეალია“ დაინტერესებული და ზაფხულში 15 მილიონ ევროსაც არ დაიშურებსო 30 წლის ნახევარმცველის ხელში ჩასაგდებად. სამეფო გუნდის გარდა, გატუზოს „ნიუკასლსა“ და „ტოტენჰემსაც“ უკავშირებენ. არც გლაზგოს „რეინჯერსში“ დაბრუნებაა გამორიცხული...

კოტი განდელაძე

ვა-დაპარგულის მუქარა

სეზონის ბოლოს სვენ-გორან ერიკსონს „მანჩესტერ სიტის“ მწვერთელის თანამდებობიდან მოხსნაან — კლუბის მენეჯერმა ტაქსინ შინავატრა შედეგებით ძალიან უკმაყოფილო ყოფილა. მოგვსენებათ, ბატონი შინავატრა ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრია.

ამის შემდეგ შინავატრა-შინატრამ ფეხბურთელებზეც ილაპარაკა. მან თქვა, რომ არიან მოთამაშეები, რომლებიც მოლოდინს არ აძართლებენ. „ფიქრობ, რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვა მოგვიწევს და მათ ნაცვლად რამდენიმე ახალს ვიყიდით. დაცვაში გეჭირდება გაძლიერება. მნიშვნელოვანია ნახევარდაცვა. ნახევარდაცვა ხომ გუნდის ხერხემალია. რა თქმა უნდა, ჩინებული ფეხბურთელებიც გვყავს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის“.

შეგახსენებთ, რომ ტაილანდელმა მანაბრმა სვენ-გორან ერიკსონი „სიტის“ მწვერთელის თანამდებობაზე გასულ ზაფხულს დანიშნა და სეზონის პირველი ნახევრის განმავლობაში კმაყოფილიც გახლდათ, მაგრამ აი, პრემიერლიგის პირველობამ გევატორი გადაკვეთა და მანჩესტერელთა გუნდში ვითარება რა-

დიკალურად შეიცვალა. 2 იანვარს „მანჩესტერ სიტის“ „ნიუკასლს“ იუნაიტედს დაამარცხა, მას მერე კი 13 შეხვედრიდან მხოლოდ სამი მოიგო.

„მანჩესტერ სიტის“ ქომავთა ოფიციალური კლუბის გენერალური მდივანი კევინ პარკერი:

„სვენ-გორან ერიკსონის შეცვლის იდეა, ცოტა არ იყოს, გვაშინებს. ის სწორედ იმ ტიპის მწვერთელია, რომლისნაირიც ჩვენს გუნდს სჭირდება და ვფიქრობ, მისი დახმარება უფრო სწორი ნაბიჯი იქნებოდა. არ აქვს მნიშვნელობა, ვის მოყვანაზე დაიწყებენ ლაპარაკს, გნებავთ სქოლარი ახსენეთ და გნებავთ მასურიუნი, ჩვენ სვენით ვართ კმაყოფილნი. მეტსაც გეტყვი, ჩვენ, „სიტის“ ფანები მწვერთელით უფრო კმაყოფილნი ვართ, ვიდრე პრეზიდენტით“.

აპაუნა კედი

ფიგუ გაბრაზებული



რობერტო მანჩინი კიდევ ერთხელ უარყო, თითქოს მას და ლუიშ ფიგუს დაბაბული ურთიერთობა ჰქონდეთ. თუმცა იტალიური პრესა სხვაგვარად ფიქრობს. ახლახან გავრცელდა ცნობები, მათი კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა, როცა გასულ კვირას „მანჩიომ“ პორ-

ტუგალიელი ნახევარმცველი „ფიორენტინასთან“ მატჩში მხოლოდ 89-ე წუთზე შეუშვა მინდორზე, ფიგუ საშინლად გაბრაზდა.

„პრობლემა არავისთან მაქვს. ლუიში ბრწყინვალე ფეხბურთელია. თუმცა ვთვლი, რომ იგი რეგულარულად სრულ მატჩებს ვერ ითა-

მაშებს. ფიგუ თითქმის შეუცვლელად თამაშობდა მიმდინარე სეზონში, სანამ დაშავდებოდა. ასეა თუ ისე, იგი კვლავ რჩება ფეხბურთელად, რომელსაც კლუბისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია“ — განმარტა „მანჩიომ“.

„ინტერის“ თავკაცმა ადრიანოზეც ილაპარაკა, ვისთანაც ასევე რთული ურთიერთობა აქვს. არანაკლებ მძიმე ხასიათის ბრაზილიელი ფორვარდი ახლა „სან პაულუსთან“ განათხოვრებული და ისე კარგად ათამაშდა, რომ პენტაკამპეონთა მწვერთელმა კარლოს ლუნგამ განაცხადა, თუ ასე გააგრძელებს, შესაძლოა, ნაკრებში ადგილიც კი დაიბრუნოსო.

„რასაკვირველია, მანარებს ადრიანოს წარმატება. რაკი ლუნგამ ასეთი რამ თქვა, ესე იგი, ადრიანოს საქმე ამჟამად კარგად მიდის, ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“ — დასძინა მანჩინი.

კოტი განდელაძე

გიჟვარდი სამუობლო!

ინგლისის ნაკრების მწვერთელი ფაბიო კაპელო ამბობს, რომ ის ფეხბურთელი, რომელიც სეზონის მიწურულს სანაკრებო თამაშისგან თავის დაძვრენას შეეცდება, დაისჯება.

ინგლისელთა ვანრივი ასეთია: 28 მაისის ისინი „უემბლიზე“ აშშ-ის ნაკრებს მასპინძლობენ, 1 ივნისს კი კარიბეთში მიდიან ტრინიდადსა და ტობაგოსთან სათამაშოდ.

„ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებში თამაშს არ ეშურება, სახლში უნდა დარჩეს — განაცხადა კაპელო — თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაში ყველასთვის დიდი სიხარული უნდა იყოს და მორჩა, აქ სხვა მიდგომა დაუშვებელია. შესაბამისად, თუ ადამიანი, რომელიც გამოძახებისთანავე შეკრებაზე არ ჩამოვა, ნაკრების წევრად აღარ მოიაზრება“.

აპაუნა კედი

Table with match results for various teams like ალსჰენსაპ, ვ ტური, გალგოუ 2:0 გაფლე, etc.

Table with league standings for პრემიერლიგა, გალგოულის მატჩი, etc.

Table with match results for შუპერლიგა, XXXI ტური, სიონი 0:0 ლუცერნი, etc.

Table with league standings for შუპერლიგა, XXXIII ტური, ბრუნინგენი 1:2 აინახტი, etc.

Table with match results for ჩილე, აპერტურა, გალგოულის მატჩები, etc.

ლიბერთადროსის თასი 2008

Table with tournament results for I ჯგუფი, VI ტური, რეალ პოტოსი 5:1 კრუსაირო, etc.

Table with tournament results for VI ჯგუფი, VI ტური, სან ხოსე 0:3 გვამლახარა, etc.

Table with tournament results for VIII ჯგუფი, VI ტური, ლიბერთადი 1:2 ბრანკალი, etc.

Table with multiple columns (1, X, 2, 1-X, 1-2, X-2) and rows listing various items and their associated numerical values. Includes sub-headers like 'რუსეთი', 'დავია. სუპერლიგა', 'ნორვეგია. ტიპელიგა'.

Table with columns: 'რომელ ტაიშიც ბავა მუტი გოლი', 'I-ში თანაბრად', 'II-ში'. Lists items 15338 to 15726 with numerical values.

Table with columns: 'ზრავს ბარეში (პირ ღრო)', 'I-ში', 'II-ში'. Lists items 16338 to 16726 with numerical values.

Table with columns: 'გოლი: წყვილი-10უ კანტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)', 'I-ში', 'II-ში'. Lists items 17338 to 17726 with numerical values.

Table with 2 columns: Player Name and Points. Includes names like ლებრონი ჯეიმსი, კობი ბრაიანტი, ალენ აივერსონი etc.

Table with 2 columns: Player Name and Points. Includes names like დუაიტ ჰოვარდი, მარკუს კემბი etc.


Table with 2 columns: Player Name and Points. Includes names like კრის პოლი, სტივ ნემი etc.

Table with 2 columns: Player Name and Points. Includes names like კრის პოლი, ბაირონი დევისი etc.

Table with 2 columns: Player Name and Points. Includes names like მარკუს კემბი, კრის კამბი etc.

Table with 2 columns: Player Name and Points. Includes names like დუეინ ვეიდი, სტივ ნემი etc.

დღე უკანასკნელი ფარულია ცუდი პარბაღ დაამთავრა



ჯეიმსონ კილია თავისი მე-14 რეგულარული ჩემპიონატი მე-100 სამმაგი ღუბლით დაასრულა

ზაზა ფარულია „აქლანტა ჰორნეტს“-ის ბოლო ცხრა სეზონში პირველად მთავრდება რეგულარული ჩემპიონატი არჩაჩენა, მაგრამ აი, ასე, უსახურ გუნდთან მარცხით დაასრულა რეგულარული...

თუ მწვრთნელად დაიტოვებს და ბრძენებიც ეგვი ყოფილა. ქალაქ სეიტლის სახელით ვინდოლო უკანასკნელად გამოსულმა „სუპერსონისქსმა“ კი ვასვლაზე მოუგო „გოლდენ სტიტს“-ს, ვინაც მარმან 13 წელიწადში პირველად კი გავიდა პლეი ოფში და წლეულის იმდენი თამაში მოიგო, აღმოსავლეთში მეოთხე გუნდი იქნებოდა, მაგრამ მისდა სავალალოდ ის დევებით დასახლებულ დასავლეთში ცხოვრობს და აი, ასე დასაწყისად დაასრულა სეზონი. რაც შეეხება „სუპერსონისქს“-ს, დიდი შანსია, ეს გუნდი ოკლახომა სიტიში გადადარდდეს. იქაურები ძალიან ექაჩებიან — ორი წლის წინ კატრინასგან დახარალებული „ნიუ ორლეან პორეტის“-ით შეიფარეს და თავისთან ათამაშეს, თურმე მოსწონებიათ, ეს ნაბიჯი არამე ყოფილა...

რაც შეეხება აქლანტა გუნდს, მათთვის ეს შეხვედრა აღარაფერს წყვეტდა, რაკი ორი დღით ადრე გასხლტენ პლეი ოფში. ასე რომ თავები არ დაიხიციან, მით უფრო რომ სულ სხვა შთაბეჭდილებებში არიან — პირველ რაუნდში გორბი „ბოსტონ სელტიქსთან“ უწყვეტ კეჭნაობა.

„მაიამისთან“ მინც რიგინად გაისარჯა ჩვენებული ზაზა ფარულია, ვისთვისაც ეს სეზონი მთლიანობაში არცთუ წარმატებული გამოვიდა — მან დაკარგა ადგილი ძირითად ხუთეულში და ვეღარ ყვირის მისი სტატისტიკა — 62 შეხვედრაში საშუალოდ 15,1 წუთით მიიღო მონაწილეობა და დააგროვა 5,2 ქულა და 4,0 მოხსნა. მაგრამ მკაფიოდ შეიჩნევა პოზიტივით: ქართველთაგან ის პირველი დააჭაშნიკებს პლეი ოფს. მანამდე ამ საქმეში ხელი მოეცარათ ვლადიმერ სტეფენიასაც და ნიკა ცქიტიშვილსაც.

„აქლანტას“ უკანასკნელმა მდევარმა „ინდიანა“-ს კი მინც დასცა „ნიუ იორკ“-ს. ამ უკანასკნელმა წლეულს იმდენჯერ წაგება მოახერხა, რომ „მაიამის“-ს დარად საკლებო ანტი-რეკორდი გაიმეორა. აიზია ტომასი

რეგულარული წაგებით დაასრულა ლებრონი ჯეიმსის „კლივლენდ“-ს. თავად ლებრონი კი არ შეუხვდავს ამ თამაშში. მან უკვე გაინაღდა სეზონის ბომბარდირის პირველი ტიტული და იქნებ უფრო პრესტიჟული ჯილდო, სეზონის უძვირფასესობაც კი შეხვდეს. ურნალისტები არჩევანს სამ სუპერვარსკვლავს შორის გააკეთებენ — პრინც ლებრონს, აშარ კობი ბრაიანტსა და ცქნაფა კრის პოლს შორის.

საბოლოო მდგომარეობა

Table comparing player statistics. Columns: Player Name, Points, Rebounds, Assists, Steals, Blocks, Minutes. Rows: ლეიკინგენი, დევიდენი, კლივლენდი etc.

* — აღნიშნულია დღეობის ლიდერი, რომელსაც პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი

Table with 2 columns: Game Name and Score. Lists various games like მანიამი 113:99 ატლანტა, მორლანდო 103:83 ვაშინგტონი etc.

საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა. XXVII ტური

Table with 4 columns: Team Name and Statistics. Lists teams like შინაგა, აპიპაგანი etc.

შედეგები: შაზა მარჩაძე, ხათუნა გაბედავა კომისარი: თენგიზ ქიქოძე

შედეგები: შაზა მარჩაძე, დავით ბერეკაშვილი კომისარი: თენგიზ ქიქოძე

შედეგები: შაზა მარჩაძე, შაპო კუბაბაძე კომისარი: როლანდ გელაშანი

შედეგები: შაზა მარჩაძე, შაპო კუბაბაძე კომისარი: როლანდ გელაშანი

